ეთიკის კომისიის

გ ა დ ა წ ყ ვ ე ტ ი ლ ე ბ ა

დისციპლინური დევნის აღძვრაზე უარის თქმის თაობაზე

მეხუთე დისციპლინური კოლეგიის შემადგენლობა:

ხათუნა გრიგალაშვილი – კოლეგიის თავმჯდომარე

სანდრო ჯორბენაძე – კოლეგიის წევრი

ეკატერინე გასიტაშვილი – კოლეგიის წევრი

საჩივრის ავტორი: მ. მ.

საჩივრის კომისიაში შემოსვლის თარიღი: 14.08.2014

საჩივრის რეგისტრაციის ნომერი: 062/14

საჩივარი შემოტანილია: ადვოკატ რ. შ.-ს მიმართ, /სიითი №----/

საჩივრის ავტორის მოთხოვნა: ადვოკატ რ. შ.-სათვის ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულებით გათვალისწინებული პასუხისმგებლობის დაკისრება

I აღწერილობითი ნაწილი:

1.საჩივრის ავტორის პოზიცია:

1.1 2014 წლის 14 აგვისტოს საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა მ. მ.-მ და მოითხოვა ადვოკატ რ. შ.-სათვის დისციპლინარული პასუხისმგებლობის დაკისრება.

1.2 საჩივრის ავტორის განცხადებით, 2014 წლის აპრილში მან იურიდიული მომსახურების გაწევის მიზნით დაიქირავა ადვოკატი რ. შ., რომელსაც მისი ინტერესები უნდა დაეცვა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოსა და ბათუმის პროკურატურაში.

1.3 საჩივრის ავტორის განმარტებით, მისთვის გაუგებარი მიზეზების გამო, რ. შ.-მ თავი აარიდა მასთან საადვოკატო მომსახურების შესახებ ხელშეკრულების დადებას. საადვოკატო

მომსახურების ჰონორარი განისაზღვრა 1500 (ათას ხუთასი) აშშ დოლარს ოდენობით, რომელიც მან ადვოკატს გადასცა ნაწილ-ნაწილ, საადვოკატო მომსახურების დაწყებისას 500 (ხუთასი) აშშ დოლარი, შემდეგ კი კვლავ 500 (ხუთასი) აშშ დოლარი პროკურატურაში განცხადების შეტანისათვის.

1.4 საჩივრის ავტორის განმარტებით, პირველი ინსტანციის სასამართლოში სამოქალაქო საქმის წარმოების დროს მას შეხება არ ჰქონია ადვოკატ რ. შ.-სთან და საქმე მას სხვა ადვოკატმა მოაგებინა.

1.5 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას ურჩევდა დავის მორიგებით დასრულებას, თუმცა მორიგება არ შედგა.

1.6 საჩივრის ავტორის განცხადებით, სააპელაციო სასამართლოში, პირველ სასამართლო სხდომაზე, მისთვის ცნობილი გახდა, რომ ადვოკატ რ. შ.-ს შეწყვეტილი ჰქონდა უფლებამოსილება ადვოკატთა ასოციაციაში საწევროს გადაუხდელობის გამო. საჩივრის ავტორმა იშუამდგომლა სასამართლოს წინაშე და სხდომა გადაიდო. აღნიშნული განმეორდა მესამე ჩანიშნულ სხდომაზეც, სადაც ადვოკატი არ გამოცხადდა, იმ მიზეზით რომ ჰქონდა სიცხე, თუმცა, ამის შესახებ მას კლიენტი წინასწარ არ ჰყოლია ინფორმირებული.

1.7 საჩივრის ავტორის განმარტებით, მთელი ამ პერიოდის მანძილზე, ბათუმიდან ქუთაისში მგზავრობის ხარჯები ანაზღაურებულ იქნა მის მიერ. საქმის დასრულების შემდეგ კი ადვოკატის მხრიდან ხორციელდებოდა მუქარა, რომ ის მიმართავდა სასამართლოს, რათა მომხდარიყო ჰონორარის დროული ანაზღაურება მ. მ.-ის მხრიდან და ამავდროულად, რ. შ. აჭიანურებდა კლიენტისთვის, ხელშეკრულების ვადის გასვლის შემდეგ, მის ხელთ არსებული საბუთების გადაცემას.

1.8 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის სხდომაზე, რომელიც გაიმართა 2014 წლის 03 ოქტომბერს, საჩივრის ავტორმა განმარტა, რომ როდესაც მან აუხსნა ადვოკატ რ. შ.-ს საქმის დეტალები, ადვოკატი დაეთანხმა იურიდიული მომსახურეობის გაწევაზე და აღნიშნა, რომ მას შეეძლო ამ საქმეზე სასამართლოში წარმომადგენლობა.

1.9 საჩივრის ავტორის განცხადებით, მას შემდეგ, რაც იგი ვეღარ ახერხებდა ადვოკატთან დაკავშირებას, ადვოკატი არ პასუხობდა მის სატელეფონო ზარებს, შესაბამისად, მან ადვოკატს განუცხადა, რომ ის მასთან წყვეტდა ყველანაირ ურთიერთობას.

1.10 საჩივრის ავტორის განმარტებით, ადვოკატი მას საბუთებს დიდი ხნის განმავლობაში არ უბრუნებდა, ვინაიდან ითხოვდა კლიენტისგან დამატებით 1700 (ათას შვიდასი) აშშ დოლარის გადახდას.

2. ადვოკატის პოზიცია:

2.1 ადვოკატმა რ. შ.-მ, 2014 წლის 28 აგვისტოს ეთიკის კომისიაში წარმოადგინა წერილობითი ახსნა-განმარტება, სადაც მიუთითა, რომ მას მ. მ. დაუკავშირდა მისი ყოფილი კლიენტების მეშვეობით, თუმცა ასევე ქალბატონი მ. მ. აღმოჩნდა რ. შ.-ს ახლობლების ნათესავი და სწორედ ამ გარემოების გამო, ადვოკატი დაეთანხმა მას, სამართლებრივი კონსულტაცია

გაეწია სრულიად უანგაროდ. შემდეგ მ. მ.-მ გამოთქვა მისი ადვოკატად აყვანის სურვილი და მათ შორის გაფორმდა მინდობილობა, რომლის მიხედვითაც ადვოკატი უნდა დახმარებოდა საჩივრის ავტორს, მათ შორის, საგამოძიებო ორგანოებთან ურთიერთობაში.

2.2 ადვოკატის განცხადებით, მას უკვე მომზადებული ჰქონდა საქმე, როდესაც მ. მ.-მ აცნობა, რომ მის ინტერესებს სასამართლოში დაიცავდა მისივე ბიძაშვილი და აღარ ესაჭიროებოდა რ. შ.-ს დახმარება, თუმცა, მიუხედავად ამისა, მ. მ. მაინც აგრძელებდა მასთან საადვოკატო კონსულტაციებზე სიარულს. მ. მ.-მ თავის ახალ ადვოკატს ფაქტიურად მის მიერ გამზადებული საქმე გადააბარა. პირველი ინსტანციის სასამართლოში აღნიშნული საქმე საჩივრის ავტორმა მოიგო, მაგრამ სააპელაციო სასამართლოში საქმის წარმოების დროს, მან ისევ მას მიმართა, ხელშეკრულებით აიყვანა ადვოკატად და შეუთანხმდა ჰონორარზე, რაც წარმოადგენდა დავის საგნის ღირებულების 4%-ს. ამ თანხიდან კი 2000 (ორი ათასი) აშშ დოლარი წინასწარ უნდა ყოფილიყო გადახდილი.

2.3 ადვოკატის განმარტებით, ის გახდა ავად, ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში მასზე გაიხსნა ავადმყოფობის ფურცელი, რაც მან არათუ კლიენტს, არამედ მოწინააღმდეგე მხარესაც მაშინვე აცნობა, რათა ტყუილად ბათუმიდან ქუთაისში არავინ ჩასულიყო. შესაბამისად, მ. მ.-თვის ცნობილი იყო, რომ სააპელაციო სასამართლოში სხდომა ამ მიზეზით გადაიდებოდა.

2.4 ადვოკატის განცხადებით, მისთვის უცნობი იყო, რომ უფლებამოსილება შეჩერებული ჰქონდა, ვინაიდან ადვოკატთა ასოციაციის მიერ მასთან დაკავშირება ვერ ხერხდებოდა და არ იყო ინფორმირებული საწევროს გადახდის თაობაზე. ასევე, ადვოკატის განმარტებით, მოსამართლემ საქმე სრულყოფილად გამოიკვლია და მხოლოდ ამის შემდეგ მოხდა სხდომის გადადება.

2.5 ადვოკატის განმარტებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია გზის ხარჯებთან დაკავშირებით დაუსაბუთებელია, ვინაიდან მგზავრობა განხორციელდა სულ სამჯერ, აქედან ორჯერ მ. მ.-ს მეგობრის ავტომობილითა და ხარჯებით, ხოლო მესამედ ადვოკატის ხარჯით. რაც შეეხება სადვოკატო მომსახურების საფასურს, აღნიშნული თანხა პროცესის მოგების შემდეგ, შეთანხმებისამებრ, არ გადაუხდია მ. მ.-ს, იგი თავს არიდებდა ადვოკატთან საუბარსა და კონტაქტს, კლიენტს არ ბარდებოდა ადვოკატის მიერ გაგზავნილი საფოსტო გზავნილი და მ. მ. არ პასუხობდა ადვოკატის ზარებს, რათა რ. შ.-ს არ მოეთხოვა მისგან გაწეული საადვოკატო მომსახურების თანხა.

2.6 2014 წლის 31 ოქტომბერს ეთიკის კომისიის სხდომაზე ადვოკატმა დაადასტურა საჩივარში მითითებული ფაქტობრივი გარემოებები.

III სამოტივაციო ნაწილი

3. ფორმალური წინაპირობების შემოწმება:

3.1 ადვოკატი რ. შ. არის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის'' წევრი /სიითი №----/, საერთო სპეციალიზაციის. ადვოკატის ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" წევრობა არ არის შეჩერებული, ასევე ადვოკატი არ არის გარიცხული ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციიდან."

3.2 მ. მ.-მ ეთიკის კომისიას საჩივრით მომართა 2014 წლის 14 აგვისტოს.

3.3 სადავო ქმედება განხორციელდა 2014 წელს. ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლის მე-2 პუნქტის საფუძველზე არ არის გასული დისციპლინური დევნის აღძვრისთვის დადგენილი ხანდაზმულობის ვადა – 5 წელი.

4. შემაჯამებელი დასკვნა:

ეთიკის კომისიას მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. შ.-ს მიმართ არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა, რადგან მოცემულ შემთხვევაში არ არსებობს „ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის 32-ე მუხლითა და „ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ" დებულების 30-ე მუხლის პირველი პუნქტით გათვალისწინებული დისციპლინური დევნის აღძვრის საფუძველი.

5. სამართლებრივი შეფასება:

5.1 საჩივრის ავტორის პრეტენზია გამოიხატა შემდეგში: ადვოკატმა არ აცნობა მას, რომ ს.ს.ი.პ. ,,საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის" აღმასრულებელი საბჭოს მიერ შეჩერებული ჰქონდა უფლებამოსილება და ამ საფუძვლით სასამართლოს სხდომა გადაიდო, მეორედ სხდომა გადაიდო კვლავ ადვოკატის ბრალით და კლიენტმა ორჯერ გაიღო მგზავრობის ხარჯი ქ. ბათუმიდან ქ. ქუთაისამდე, რომელიც არშემდგარ სასამართლო სხდომას უკავშირდება, ასევე, ადვოკატმა ვერ დაიცვა კლიენტის ინტერესები პოლიციასა და პროკურატურაში და მას გამოსძალა ჰონორარი.

5.2 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ იმსჯელა ადვოკატ რ. შ.-ს მიერ შემდეგი ნორმების შესაძლო დარღვევის თაობაზე:

5.2.1 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია კეთილსინდისიერად შეასრულოს პროფესიული ფუნქციები."

5.2.2 ,,ადვოკატთა შესახებ" საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ბ" ქვეპუნქტი: ,,ადვოკატი ვალდებულია ზუსტად და განუხრელად დაიცვას პროფესიული ეთიკის ნორმები."

5.2.3 ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილი: ,,ადვოკატმა კვალიფიციურად და კეთილსინდისიერად უნდა მისცეს რჩევა კლიენტს და განახორციელოს წარმომადგენლობა."

5.3 ეთიკის კომისიამ მოუსმინა მხარეებს, შეისწავლა საქმის მასალები და მიაჩნია, რომ საჩივარი არ უნდა დაკმაყოფილდეს, კერძოდ, არ უნდა აღიძრას დისციპლინური დევნა ადვოკატ რ. შ.-ს მიმართ შემდეგი გარემოებების გამო:

5.4 ეთიკის კომისიის სააპროცესო კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის პრეტენზია ეხება იმ გარემოებას, რომ 2014 წლის 17 ივნისს ადვოკატმა, ვერ მიიღო მონაწილეობა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში, ვინაიდან მას შეჩერებული ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება საქართველოს ადვოკატთა ასოციაციის აღმასრულებელი საბჭოს მიერ 2014 წლის 07 ივნისიდან. საჩივრის ავტორის მითითებით, 2014 წლის 17 ივნისის სასამართლოს სხდომა გადაიდო 2014 წლის 26 ივნისს, რა დროსაც ადვოკატი გახდა ავად, რაზეც გაიხსნა ბათუმის რეფერალურ საავადმყოფოში ბიულეტენი და ადვოკატმა კვლავ ითხოვა 03 დღით საქმის განხილვის გადადება. საქმის არსებითი განხილვა გადაიდო 2014 წლის 04 ივლისს, ხოლო საბოლოო გადაწყვეტილება გამოცხადდა მ. მ.-ის სასარგებლოდ ადვოკატ რ. შ.-ს მონაწილეობით 2014 წლის 11 ივლისს, რაც დადასტურებულია ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატის 2014 წლის 11 ივლისის № 3/ბ-158-2014 განჩინებით. საჩივრის ავტორი ეჭვქვეშ აყენებს ადვოკატის განმარტებას იმის თაობაზე, რომ მისთვის ცნობილი არ იყო ადვოკატთა ასოციაციის წევრობის შეჩერების თაობაზე 2014 წლის 17ივნისს, ასევე იმ ფაქტს, რომ ადვოკატი ავად იყო 2014 წლის 26 ივნისს, რა დროსაც ადვოკატის ბრალით იქნა გადადებული სასამართლო განხილვები.

5.5 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია ვერ გაიზიარებს საჩივრის ავტორის მითითებას იმის თაობაზე, რომ ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში სხდომაზე მისასვლელად კლიენტმა გასწია დამატებითი ხარჯი, რაც ადვოკატის მხრიდან ეთიკურ დარღვევაზე მიუთითებს. კომისიის მიერ შესწავლილი იქნა ადვოკატ რ. შ.-ს მიმართ ასოციაციის წევრობის შეწყვეტის საფუძვლები, მისთვის ამ ინფორმაციის გადაცემის საკითხები და დადგინდა: მიუხედავად იმისა, რომ ადვოკატ რ. შ.-ს 2014 წლის 07 ივნისს შეუწყდა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება და ეს ინფორმაცია გამოქვეყნებული იქნა ადვოკატთა ასოციაციის ვებ-გვერდზე www.gba.ge-ზე, ასევე გამოქვეყნებული იქნა გაზეთ „24 საათში“, ამასთან, ერთად გაეგზავნა მოკლე ტექსტური შეტყობინება იმ ტელეფონის ნომერზე, რომელიც ასოციაციისთვის იყო ცნობილი, კომისიას დადგენილად არ მიაჩნია, რომ ადვოკატ რ. შ.-მ ეს ფაქტი იცოდა და განზრახ ჩაიყვანა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში მ. მ. სასამართლო სხდომის გადასადებად. ვინაიდან საქმეში წარმოდგენილი არ გახლავთ მტკიცებულება იმის თაობაზე, რომ სატელეფონო მოკლე ტექსტური შეტყობინება ადვოკატმა რ. შ.-ემ მიიღო, ამასთან არ დასტურდება ის ფაქტი, რომ ადვოკატი გაცნობილი იყო ასოციაციის ვებ-გვერდზე გამოქვეყნებულ ან გაზეთში „24 საათი“ განთავსებულ ინფორმაციას. თავად ადვოკატი უთითებს, რომ მისთვის ეს გარემოება ცნობილი არ ყოფილა, რისი საპირისპირო მტკიცებულებებიც საქმეში არ მოიპოვება. აქედან გამომდინარე კომისიას დადგენილად მიაჩნია, რომ ადვოკატმა წინასწარი განზრახვის გარეშე, ისე, რომ მისთვის ცნობილი არ ყოფილა ამ ფაქტის შესახებ, 2014 წლის 16 ივნისს ქუთაისის სააპელაციო

სასამართლოში თავად ჩაიყვანა მ. მ., რა დროსაც გაირკვა, რომ მას შეწყვეტილი ჰქონდა საადვოკატო საქმიანობის უფლებამოსილება, რაშიც ადვოკატის მხრიდან ეთიკის ნორმების დარღვევას ადგილი არ ჰქონია.

5.6 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიამ ასევე დადგენილად მიაჩნია ის გარემოება, რომ 2014 წლის 26 ივნისისათვის ადვოკატი რ. შ. იმყოფებოდა ავად და ამ საფუძვლით მოითხოვა 2014 წლის 26 ივნისის სასამართლო სხდომის გადადება. კომისია განმარტავს, რომ ადვოკატის ჯანმრთელობის მდგომარეობის თაობაზე ბათუმის რეფერალური საავადმყოფოდან გაცემულია საავადმყოფო ფურცელი N768341 ფორმა №100, რაც ადასტურებს ადვოკატის ავადმყოფობის ფაქტს, შესაბამისად, არ არსებობს ამ გარემოებაში ეჭვის შეტანის საფუძველი. საჩივრის ავტორის მითითებას, რომ სასამართლო სხდომების ორჯერ გადადებით, ადვოკატის მიერ დაირღვა ეთიკის ნორმები იმის გამო, საჩივრის ავტორმა გასწია სასამართლო სხდომებზე ჩასასვლელად ხარჯები და ამით მიადგა ზიანი, ეთიკის კომისია ვერ გაიზიარებს. დისციპლინურ საქმეში საჩივრის ავტორის მიერ წარმოდგენილი არ არის იმის საპირისპირო მტკიცებულება, რომ 2014 წლის 16 ივნისს ადვოკატმა იცოდა, რომ უფლებამოსილება ჰქონდა შეწყვეტილი, ან 2014 წლის 26 ივნისს, ჯანმრთელობის მდგომარეობის გაუარესების გამო, საპატიო მიზეზით, ვერ გამოცხადდა ქუთაისის სააპელაციო სასამართლოში.

5.7 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგია ვერ იზიარებს საჩივრის ავტორის განმარტებას იმის თაობაზე, რომ ის არ იყო ადვოკატისაგან ინფორმირებული საქმის მსვლელობის თაობაზე, ვინაიდან ამავე გარემოებას ადვოკატი რ. შ. ახსნა-განმარტებით უარყოფს, ხოლო სხვა სახის მტკიცებულება, რომელიც დაადასტურებდა მითითებულ გარემოებებს, საქმეში წარმოდგენილი არ არის. ამასთანავე, საქმეში წარმოდგენილია გამოძიების შედეგებზე მ. მ.-სადმი მიწერილი პასუხი ქ. ბათუმის რაიონული პროკურატურიდან, რაც ფაქტობრივად ადასტურებს ადვოკატის მიერ საჩივრის წარდგენისა და ამ საჩივარზე ადვოკატის კლიენტისათვის პროკურატურის პასუხიდან გამომდინარე ადვოკატის პროფესიული საქმიანობის შედეგს. აღნიშნულიდან გამომდინარე, ეს მტკიცებულებები ადასტურებს ადვოკატის მიერ კლიენტისათვის ინფორმაციის მიწოდებას საგამოძიებო ორგანოებიდან.

5.8 ეთიკის კომისია აღნიშნავს, რომ მ. მ.-ს მიერ ადვოკატ რ. შ.-ს სახელზე გაცემული მინდობილობის ვადად განისაზღვრა 2014 წლის 28 აგვისტო. შესაბამისად, ადვოკატმა საჩივრის ავტორთან ერთად მიიღო მონაწილეობა ქ. ქუთაისის სააპელაციო სასამართლოს ადმინისტრაციულ საქმეთა პალატაში საქმის განხილვის დროს, მანვე წარადგინა საჩივარი პროკურატურაში, რის თაობაზეც მ. მ. ინფორმირებული იყო.

5.9 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საგამოძიებო ორგანოებიდან შემდგომ რეაგირებაზე ადვოკატი ვერ იქნებოდა პასუხისმგებელი, ვინაიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსის მე-3 მუხლის მე-5 პუნქტის საფუძველზე, სისხლის სამართლის სამართალწარმოების დროს, მხარეს წარმოადგენს ,,ბრალდებული,

მსჯავრდებული, გამართლებული, მათი ადვოკატი, გამომძიებელი და პროკურორი.“ ვინაიდან საჩივრის ავტორი დაზარალებულად თვლის თავს, ის არ წარმოადგენს სისხლის სამართლის პროცესით განსაზღვრულ მხარეს, რომელსაც ენიჭება უფლებამოსილება გაეცნოს საქმის მასალებს და გამოძიების მიმდინარეობის შესახებ მიეწოდოს ინფორმაცია. შესაბამისად, ადვოკატის დავალდებულება იმაზე მეტი ინფორმაცია მიეწოდებინა საჩივრის ავტორისათვის, რაც შეეძლო მოეპოვებინა საგამოძიებო ორგანოებიდან სისხლის სამართლის საპროცესო კოდექსით დადგენილი წესით, გაუმართლებელი იქნებოდა.

5.10 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორი ვერ ადასტურებს ადვოკატის მხრიდან თანხების, კერძოდ კი ჰონორარის გამოძალვის ფაქტს. საპროცესო კოლეგია განმარტავს, რომ კლიენტი ვალდებულია ადვოკატს გადაუხადოს შეთანხმებული საზღაური, შესაბამისად, საქმეში არსებული დოკუმენტი - ადვოკატის მხრიდან საჩივრის ავტორისადმი 2014 წლის 17 ივლისის მიმართვა, არ წარმოადგენს გამოძალვას. აღნიშნული წერილი ადვოკატსა და კლიენტს შორის ურთიერთშეთანხმების საფუძველზე არსებული შეთანხმებიდან გამომდინარე გაკეთებული წერილობითი მოთხოვნაა, რომელშიც გადმოცემულია კლიენტის მხრიდან შესასრულებელი ვალდებულების თაობაზე შეტყობინება და ეს დოკუმნეტი ვერ იქნება განხილული ადვოკატის მხრიდან კლიენტის მიმართ განხორციელებულ გამოძალვად.

5.11 ეთიკის კომისიის საპროცესო კოლეგიის შეფასებით, საჩივრის ავტორის მითითება ასევე ვერ იქნა დადასტურებული იმ კუთხითაც, რომ ადვოკატმა რ. შ.-მ არ დაიცვა კლიენტის ინტერესები პოლიციასა და პროკურატურაში, ვინაიდან საქმეში წარმოდგენილია ადვოკატის მიერ შედგენილი საჩივარი პროკურატურის სახელზე, საჩივრის ავტორის ინტერესების დასაცავად. შესაბამისად, არ არსებობს ადვოკატის მიმართ დისციპლინური დევნის აღძვრის წინაპირობები.

III სარეზოლუციო ნაწილი

ეთიკის კომისიამ იხელმძღვანელა ადვოკატთა პროფესიული ეთიკის კოდექსის მე-8 მუხლის მე-5 ნაწილით; ,,ადვოკატთა შესახებ” საქართველოს კანონის მე-5 მუხლის „ა“ და ,,ბ“ ქვეპუნქტით, 33-ე მუხლით, ,,ადვოკატთა დისციპლინური პასუხისმგებლობისა და დისციპლინური წარმოების შესახებ’’ დებულების მე-4 მუხლის მე-5 და მე-6 პუნქტებით, მე-19 მუხლით, 27-ე მუხლით, 28-ე მუხლით, 30-ე მუხლის მეორე პუნქტით, 31-ე მუხლით, მე-40 მუხლის პირველი პუნქტით და გადაწყვიტა:

1. დისციპლინურ საქმეზე №062/14 ადვოკატ რ. შ.-ს მიმართ /სიითი №----/ არ აღიძრას დისციპლინური დევნა.

2. გადაწყვეტილების ასლი გაეგზავნოს მხარეებს.

3. საპროცესო კოლეგიის გადაწყვეტილება არ საჩივრდება.

კოლეგიის თავმჯდომარე: /ხათუნა გრიგალაშვილი/

კოლეგიის წევრი: /სანდრო ჯორბენაძე/

კოლეგიის წევრი: /ეკატერინე გასიტაშვილი/